ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

# ბრძანება №178

ქ. ბათუმი, 24 თებერვალი 2020 წ

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის, საბანკო მომსახურებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 14 თებერვლის №141 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

**1**. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის, საბანკო მომსახურებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 14 თებერვლის №141 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადქციით:

„5.1. კონკურსი გაიმართება 2020 წლის 25 თებერვალს $17^{00}$ სთ-ზე. მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, მეორე სართული, მერიის სათათბირო ოთახი.“

**2**. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**3**. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი